ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 2/55

ქ. თბილისი 2 ნოემბერი, 2011 წელი

ერთის მხრივ სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“ (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ნიკოლოზ ვაჩეიშვილის სახით და მეორეს მხრივ, ი.მ. „მიხეილ გელაშვილი“ (შემდგომში – მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“, აშშ-ს ელჩის კულტურის დაცვის ფონდის (AFCP) მხარდამჭერი პროექტის „არმაზციხის არქეოლოგიური საიტის კონსერვაცია“ გრანტის სახსრებით არმაზ-ციხე ბაგინეთის „სამეფო აბანოს“ გიმნაზიუმის არქეოლოგიური პრეპარაციისა და კონსერვაციის სამუშაოების შესყიდვა (CPV კოდი 45400000) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 შესყიდვის ობიექტი განისაზღვრება სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (იხ. დანართი).

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 4620 (ოთხი ათას ექვსას ოცი) ლარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების ჩათვლით.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს სამუშაოს ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

3.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

3.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ საგანმანათლებლო და საინფორმაციო უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - გიორგი ჭეიშვილი და უძრავ ძეგლთა ატრიბუციის სამსახურის უფროსი - გიორგი გაგოშიძე.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები და ვადები

4.1 შესრულებული სამუშაოების ანგარიში შემსყიდველს წარედგინება ელექტრონული ვერსიის _ კომპაქტური CD დისკის (1 ეგზემპლარი) და მყარი ასლების სახით (3 ეგზემპლარი).

4.2 მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, ათონელის #27 (სანაპიროს მხრიდან).

4.3 სამუშაოს შესრულების სავალდებულო ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2011 წლის 12 დეკემბრის ჩათვლით.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესრულებული სამუშაოს მიღება განხორციელდება სამუშაოს შესრულების შემდეგ, მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირ(ებ)ს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების 3.5 მუხლში მითითებული პირები).

5.2. არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღით ადრე მიმწოდებელი ატყობინებს შემსყიდველს სამუშაოთა დასრულების შესახებ.

5.3.შემსყიდველი ამოწმებს მიმწოდებლის მიერ დამუშავებულ და წარმოდგენილ დოკუმენტაციის სრულყოფილებას.

5.4. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, შესყიდველი დადგენილი წესის შესაბამისად მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს.

5.5. შემსყიდველს უფლება აქვს ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დაუბრუნოს მიმწოდებელს ხარვეზიანი დოკუმენტაცია.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

6.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

6.3 ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

7. ფასები

7.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

7.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

7.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

7.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

7.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

8.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისას აცნობოს მიმწოდებელს ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

8.2.3.ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

8.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

8.3.1განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;

8.3.2. განახორციელოს კონტროლი შესაბამისი დოკუმენტაციის შედგენისას;

8.3.3. მიიღოს მიმწოდებლისგან სათანადო წესით გაფორმებული დოკუმენტაცია.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

8.4.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

8.4.2. დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით;

8.4.3. დოკუმენტაციაზე რაიმე შენიშვნების აღმოჩენის შემთხვევაში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას იგი, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

8.5 დოკუმენტაცია წარადგინოს ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ ფორმატში.

8.6. მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.6.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა

10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11. სუბკონტრაქტორები

11.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

11.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

11.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12 გარანტია

12.1. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

12.2. შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს ექსპერტიზის გავლის შედეგად რაიმე წუნის (ხარვეზის) აღმოჩენის შესახებ.

12.3. შეტყობინების მიღების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას აღმოჩენილი წუნი (ხარვეზი).

12.4. ნებისმიერი პრობლემა, რომელიც წარმოიქმნება სამუშაოს შესრულების პროცესში ორგანიზაციის არაკვალიფიციურად დასახული ამოცანის შედეგად და აღმოჩნდება, რომ ამის გამო ღირებულება იზრდება, მიმწოდებელი ვალდებულია აანაზღაუროს ასეთი გარემოებით გამოწვეული სამუშაოები.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, _ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

14.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესმყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

14.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.5 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

14.6 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუკი მიმწოდებლის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების დარღვევის პერიოდი აღემატება 15 კალენდარულ დღეს.

15. ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

16.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17. გამოყენებული სამართალი

17.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

18. ხელშეკრულების ენა

18.1 ხელშეკრულება შედგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

19. შეტყობინება

19.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

19.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

20. გადასახადები და დაბეგვრა

20.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

20.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

21. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

21.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან, 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

22. სხვა პირობები

22.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

22.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

22.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

22.4 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

22.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი

სსიპ „საქართველოს კულტურული
მემკვიდრეობის დაცვის
ეროვნული სააგენტო“
მის: ქ. თბილისი, თაბუკაშვილის #5
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: 220101222
ა/ა # 200122900
ს/კოდი: 204562311

გენერალური დირექტორი

ნიკოლოზ ვაჩეიშვილი

მიმწოდებელი

ი.მ. „მიხეილ გელაშვილი“
მის: ქ. თბილისი,
უშანგი ჩეიძის N33
ს.ს. „ვითიბი ბანკი ჯორჯია“
კოდი: UGEBGE22
ა/ა # GE78VT6600000082233608
ს/კოდი: 01030033374

ინდ. მეწარმე

მიხეილ გელაშვილი

არმაზ-ციხე ბაგინეთის "სამეფო აბანოს" გიმნაზიუმის საკონსერვაციო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა (ლარებში)

№	სამუშაოების ჩამონათვალი	განზომილების ერთეული	რაოდენობა	მასალა		ხელფასი		ტრანსპორტი და		ჯამი
				Materials		Salary		Transport end gears		
	Works	Dimen.	Amoun	ერთ. ფასი Unit price	ჯამი Total	ერთ. ფასი Unit price	ჯამი Total	ერთ. ფასი Unit price	ჯამი Total	Total
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	ნაგებობის გრძივ და განივ კედლებზე არსებული ბიოსაფარის მოცილება 30,82 გრძ.მX1,0 = 30,8 მ^2;	მ2	30.80	0.00	0.00	5.00	154.00	0.00	0.00	154.00
2	ნაგებობის ინტერიერში ბიოსაფარის შეწამვლა - 7,40X6,26 = 46,3 მ^2;	მ2	46.30	0.38	17.59	5.00	231.50	0.20	9.26	258.35
3	ამორტიზებული ჩრდილოეთი კედლის წყობის მარკირება. 7,5X1,14 = 8,55 მ^2;	მ2	8.55	0.00	0.00	15.00	128.25	0.00	0.00	128.25
4	აქვე ჩრდილოეთის კედლის წყობის გადაწყობა სპეც. ხსნარით (კირი ჩამქრალი, კირი დაფქვილი, თეთრი ცემენტი, ქვიშა კენჭოვანი, ქვიშა არგვეთის) 7,5X1,14X0,90 = 7,69 მ^3;	მ3	7.69	0.00	0.00	150.00	1153.50	0.00	0.00	1153.50
	ქვიშა დარკვეთის გარეცხილი მარილგამოცლილი	მ3	1.00	45.00	45.00	0.00	0.00	20.00	20.00	65.00
	ქვიშა კენჭოვანი გარეცხილი	მ3	1.00	45.00	45.00	0.00	0.00	20.00	20.00	65.00
	კირი ჩამქრალი	ტონა	0.70	190.00	133.00	0.00	0.00	20.00	14.00	147.00
	კირი დაფქვილი	ტონა	0.07	190.00	13.30	0.00	0.00	20.00	1.40	14.70
	თეთრი ცემენტი	კგ	70.00	0.50	35.00	0.00	0.00	0.05	3.50	38.50
	წიდა დაფქვილი	მ3	0.20	35.00	7.00	0.00	0.00	20.00	4.00	11.00
5	გრძივი და განივი კედლის ზედაპირიდან ჩამოყრილი ქვების დაბრუნება სისქით 10 15 –მდე 30,8 მ^2-ზე სპეც. ხსნარზე (კირი ჩამქრალი, კირი დაფქვილი, თეთრი ცემენტი, ქვიშა კენჭოვანი, ქვიშა არქვეთის);	მ2	30.80	0.00	0.00	37.50	1155.00	0.00	0.00	1155.00
	ქვიშა დარკვეთის გარეცხილი მარილგამოცლილი	მ3	0.35	45.00	15.75	0.00	0.00	20.00	7.00	22.75
	ქვიშა კენჭოვანი გარეცხილი	მ3	0.35	45.00	15.75	0.00	0.00	20.00	7.00	22.75
	კირი ჩამქრალი	ტონა	0.12	190.00	22.80	0.00	0.00	20.00	2.40	25.20
	კირი დაფქვილი	ტონა	0.03	190.00	5.70	0.00	0.00	20.00	0.60	6.30
	თეთრი ცემენტი	კგ	35.00	0.50	17.50	0.00	0.00	0.05	1.75	19.25
	წიდა დაფქვილი	მ3	0.10	35.00	3.50	0.00	0.00	20.00	2.00	5.50

6	ინტერიერში და ფასადებზე გამოქარული ნეკერების გაწმენდა და სპეც. ხსნარით შევსება 7X5 = 35/3 = 11,6 მ². სისქით 3 4-ამდე.	მ2	11.60	0.00	0.00	12.50	145.00	0.00	0.00	145.00
	ქვიშა დარკვეთის გარეცხილი მარილგამოცლილი	მ3	0.15	45.00	6.75	0.00	0.00	20.00	3.00	9.75
	ქვიშა კენჭოვანი გარეცხილი	მ3	0.15	45.00	6.75	0.00	0.00	20.00	3.00	9.75
	კირი ჩამქრალი	ტონა	0.04	190.00	7.60	0.00	0.00	20.00	0.80	8.40
	კირი დაფქვილი	ტონა	0.01	190.00	1.90	0.00	0.00	20.00	0.20	2.10
	თეთრი ცემენტი	კგ	12.00	0.50	6.00	0.00	0.00	0.05	0.60	6.60
	წიდა დაფქვილი	მ3	0.05	35.00	1.75	0.00	0.00	20.00	1.00	2.75
7	მასალების აზიდვა ხელით 130 მ სიმაღლეზე	ტონა	6.00	0.00	0.00	50.00	300.00	0.00	0.00	300.00
	სულ პირდაპირი ხარჯები:				408		3267		102	3776.40
	ზედნადები ხარჯები:		10%							377.64
	სულ:									4154.04
	მოგება:		8%							332.32
	სულ:									4486.37
	გაუთვალისწინებელი ხარჯები:		3%							133.63
	სულ:									4620.00

01030033374